სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 56

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბილისის „ჯარი“ - ოზურგეთის „არწივები“		
გუნდი	თბილისის „ჯარი“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	22/02/2026	მატჩის ადგილი	თბილისი, ლოკოს ბაზა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	თენგო ჯინაშვილი		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მსაჯი - საბა შვანგირაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - **8.6. საჯაროდ არ გააპროტესტოს და/ან პროვოცირება გაუწიოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო გაპროტესტებას**	☒ **წითელი ბარათი** ☐ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	27/02/2026	**განხილვის ადგილი**	სრკ-ის ოფისი
თავმჯდომარე	დავით შუბითიძე		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ **კი** ☐ **არა**	
დამრღვევის წარმომადგენელი		**აღნიშნეთ ვინ**	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის - საბა შვანგირაძის წითელი ბარათის ოქმი		

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 56

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის - საბა შვანგირაძის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) - მაჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე დავნიშნე შერკინება არწივების 5მეტრიან ხაზთან რადგან ჯარის მოთამაშემ ვერ შეძლო ბურთის ლელოში დამიწება და გაუგორდა წინ, ამყველაფერს მოყვა აპელირება ჯარის ტრენერის თენგო ჯინაშვილის მიხრიდან, რის გამოც მომიწია მიმეცა წითელი ბარათი

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თენგო ჯინაშვილმა აღიარა მსაჯის გადაწყვეტილებაზე აპელირების ფაქტი და დაეთანხმა მსაჯის წითელი ბარათის ოქმში აღწერილ გარემოებებს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოიბოდიშა კომისიის წინაშე.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სადისციპლინო კომისიამ მხარეთა მოსმენის და ფაქტობრივი მოცმულობების განხილვის შედეგად დაადგინა თბილისის „ჯარის“ მწვრთნელის - თენგო ჯინაშვილის მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის - **8.6. საჯაროდ არ გააპროტესტოს და/ან პროვოცირება გაუწიოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო გაპროტესტებას** პუნქტის დარღვევა.

სადისციპლინო კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა აღნიშნული პიროვნების სადისციპლინო ისტორია, კერძოდ სადისციპლინო კომისიის 2025 წლის 4 დეკემბრის # 35 გადაწყვეტილებით, თენგო ჯინაშვილი სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 პუნქტის დარღვევისთვის დისკვალიფიცირებული იყო 2 კვირა/თამაშით. დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება :

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 56

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

სანქცია

- **სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	4 (ოთხი) კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	02/03/2026	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	არ არის დადგენილი, განისაზღვრება გუნდის სათამაშო კალენდარის დაზუსტების შემდეგ	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)**	კლუბ თბილისის ,,ჯარს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა **200 (ორასი)** ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 2 აპრილამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 6.1 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, თენგო ჯინაშვილს ეკრძალება თბილისის ,,ჯარის“ თამაშის დროს სათამაშო პერიმეტრში* ყოფნა. **სათამაშო პერიმეტრი მოიცავს: სათამაშო მოედანს და მის მიმდებარე ტერიტორიას (ტექნიკური ზონა, სინ ბინი, მატჩის კომისრის ადგილი და ა.შ.). აღნიშნული შეზღუდვა არ მოიცავს სტადიონის ტრიბუნებს.**	

- **სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)**

თავმჯდომარე ხელმოწერა	დავით შუბითიძე	თარიღი	02/03/2026

სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 56

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf